ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

(პროდუქტის დასახელება) საკრედიტო ხელშეკრულება N xxx

თარიღი

საპროცენტო განაკვეთი:

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული
- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი - X%(განისაზღვრება ინდივიდუალურად)
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = X%(განისაზღვრება ინდივიდუალურად)

ფინანსური ხარჯები:

- ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა + პროცენტი) – თანდართული გრაფიკის მიხედვით
- ვადის ბოლოს შენატანი -X ლარი(განისაზღვრება ინდივიდუალურად)
- კრედიტის გაცემის საკომისიო - X%(განისაზღვრება ინდივიდუალურად)
- იპოთეკის/გირავნობის რეგისტრაცია/გაუქმების მოსაკრებელი - 153 ლარი
- ხელშეკრულების (დოკუმენტის) დამოწმების სანოტარო ბაჟი - X ლარი(განისაზღვრება ინდივიდუალურად)

სხვა სახელშეკრულებო პირობები:

- კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა - Xლარი(განისაზღვრება ინდივიდუალურად)
- მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა - Xლარი(განისაზღვრება ინდივიდუალურად)
- კრედიტის ვადა -X თვე(განისაზღვრება ინდივიდუალურად)
- საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა - X თვე(განისაზღვრება ინდივიდუალურად)
- კრედიტის წინასწარ დაფარვის საკომისიო - X%(განისაზღვრება ინდივიდუალურად) წინასწარ დაფარვის საკომისიო იანგარიშება კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხიდან და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად.

  თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-მდე ვადა, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე წინსწრების საკომისიო 0%.

  თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა

  თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-ისა.

  თუ ხელშეკრულების დასრულებმადე დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2%-სა.

--- ---

გამსესხებელი მსესხებელი

თუ კრედიტის სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირება ხდება სხვა საფინანსო ორგანიზაციიდან მოზიდული სახსრებით, გამსესხებელი უფლებამოსილია დააკისროს მსესხებელს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს საკომისიო თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისათვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0,5%-ისა.

- ვადაგადაცილების ჯარიმა (პირსაგამტეხლო) -ვადაგადაცილებული თანხის x%(განისაზღვრება ინდივიდუალურად)ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0,27%;ამასთან ,ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1,5 მაგ ოდენობას; ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2თვით ადრე;ამასთან,ფინანსური ორგანიზაცია უფლებამოსილია ცალმხრივად, ნებისმიერ დროს შეიტანოს ხელშეკრულებაში ცვლილება. მათ შორის,საპროცენტო განაკვეთის და/ან ხელშეკრულების სხვა პირობების ცვლილების შემთხვევაში მომხმარებლის ინფორმირება მოხდება არანაკლებ1 თვით ადრე წერილობით ორგანიზაციაში დაცული რომელიმე საკომუნიკაციო არხის საშუალებით/ ელექტრონული ფოსტით / მოკლე ტექსტური შეტყობინებით, კომუნიკაციის ფორმას ირჩევს გამსესხებელი.

კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შეთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია გადახდევინება მიაქციოს კლიენტის უძრავ/მოძრავ ქონებაზე და არამატერიალური ქონებრივ სიკეთეზე, რის შედეგადაც შესაძლოა განხორციელდეს კლიენტის ანგარიშების/ქონების დაყადარება. ასევე, იძულებითი აღსრულების დაწყება და კლიენტის ქონების აუქციონის მეშვეობით რეალიზაცია.

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. ორგანიზაცია კლიენტის პრეტენზიას განიხილავს წარდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში და წერილობით აცნობებს კლიენტს განხილვის შედეგებს;

პრეტენზიის განხილვის დეტალური პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ცხელ ხაზზე **(+99532 2 430432).**

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდსა – http://nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

გამსესხებელი:	მსესხებელი:
შპს კაპიტალექსპრესი	დასახელება
ს/კ: 404434028	საიდენტიფიკაციო მონაცემი
წარმომადგენლის ხელმოწერა	მსესხებლის ხელმოწერა
---	---
გამსესხებელი	მსესხებელი

საკრედიტო ხელშეკრულება: N xxxxx

საქართველო, თბილისი თარიღი

მუხლი 1: ხელშეკრულების მხარეები.

1.1 შპს კაპიტალექსპრესი

საფირმო სახელწოდება:	შპს კაპიტალექსპრესი
საიდენტიფიკაციო ნომერი:	404434028
იურიდიული მისამართი:	ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზ.N7
წარმომადგენლის თანამდებობა:	დირექტორი
სახელი, გვარი, პირადი ნომერი:	----------
ელ-ფოსტა, ტელეფონი	contact@capitalexpress.ge (032) 2 430432

შემდგომში წოდებული როგორც „გამსესხებელი“ ან/და „მოგირავნე“

1.2 მსესხებელი

დასახელება	----------
საიდენტიფიკაციო მონაცემი:	----------
იურიდიული /ფაქტიური მისამართი:	----------
პირადობის მოწმობის N	----------
გამცემი ორგანო	----------
გაცემის თარიღი:	----------
მოქმედების ვადა:	----------
ელ. ფოსტა, ტელეფონი:	----------

შემდგომში წოდებული როგორც „მსესხებელი“ ან/და „დამგირავებელი“

მუხლი 2: საკრედიტო ხელშეკრულების დადების საფუძველი

2.1. წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულება დადებულია მხარეთა შორის თარიღი გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების **N XXXX** (შემდგომში „გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება“) საფუძველზე და შესაბამისად.
2.2. თუ წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი

კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს საკრედიტო ხელშეკრულების მიზნებისათვის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება და მის დანართებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოცემულ ტერმინებსა და განმარტებებს ექნებათ იგივე მნიშვნელობა, რაც გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება და მის დანართებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
2.3. წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულებაზე სრულად გავრცელდება გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების და მისი დანართების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი დებულებები, მხარეთა უფლება-მოვალეობები და სხვა პირობები, მათ შორის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების 7.5 გათვალისწინებული შეთანხმება.

მუხლი 3: ხელშეკრულების საგანი

3.1. ამ ხელშეკრულების საგანია შპს კაპიტალექსპრესის მიერ მსესხებლისათვის სასყიდლიანი კრედიტის მიცემა სესხის ფორმით, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად და მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებითა და გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულელების ჯეროვნად შესრულება.
3.2. კრედიტის (სესხის) ძირითადი პირობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით.

მუხლი 4: კრედიტის ძირითადი პირობები

4.1. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: **XXXXX**
4.2. გენერალური ხელშეკრულების დადების თარიღი: თარიღი
4.3. კრედიტის (სესხის) თანხა: X ლარი(განისაზღვრება ინდივიდუალურად)
4.4. მსესხებელზე გასაცემი კრედიტის თანხა (ფინ. ხარჯების გამოკლებით): X ლარი(განისაზღვრება ინდივიდუალურად)
4.5. კრედიტის (სესხის) ვადა: X თვე(განისაზღვრება ინდივიდუალურად)
4.6. კრედიტის(სესხის)ხელშეკრულების მოქმედების ვადა: Xთვე(განისაზღვრება ინდივიდუალურად)
4.7. საპროცენტო განაკვეთი: X %(განისაზღვრება ინდივიდუალურად)(თვეში X%)
4.8. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: X %(განისაზღვრება ინდივიდუალურად)(თვეში X%)
4.9. კრედიტის (სესხის) მიზნობრიობა(2): (განისაზღვრება ინდივიდუალურად)
4.10. კრედიტის (სესხის) გაცემის ფორმა: ერთჯერადი (სტანდარტული)
4.11. კრედიტის (სესხის) დაფარვის გრაფიკი: თანდართული გრაფიკის მიხედვით (დანართი #1)
4.12. ყოველდღიური პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებისათვის: ვადაგადაცილებული თანხის X%(განისაზღვრება ინდივიდუალურად)ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს ნარჩენი ზირითადი თანხის 0,27%-ისა. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1,5-მაგ ოდენობას.
4.13. საკომისიო ვადაზე ადრე დაფარვისათვის: არაუმეტეს 2%-სა, დეტალური პირობები განისაზღვრება 5.1 პუნქტით.
4.14. საკომისიო შპს კაპიტალექსპრესის მიერ მიმდინარე სესხის ვადაზე ადრე დაფარვის მოთხოვნის შემთვხვევაში - 0 (ნული)

--- ---

გამსესხებელი მსესხებელი

4.15. კრედიტის (სესხის) გაცემის (მომსახურების) საკომისიო: გაცემული თანხის X%(განისაზღვრება ინდივიდუალურად)

მუხლი 5: სხვა პირობები

5.1 კრედიტის წინსწრებით დაფარვისას, გარდა ნარჩენი ძირის დაფარვისა, გამსესხებელი უფლებამოსილია დააკისროს მსესხებელს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს საკომისიო ან/და პირგასამტეხლო ან ნებისმიერი სახის საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს წინსწრებით დაფარვის საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს, თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისათვის ხელშეკრულების დარჩენილი ვადის გათვალისწინებით, შემდეგი ოდენობით:

თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-მდე ვადა, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე წინსწრების საკომისიო არ მოქმედებს

თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა

თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-ისა;

თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2%-ისა.

თუ კრედიტის სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირება ხდება სხვა საფინანსო ორგანიზაციიდან მოზიდული სახსრებით, გამსესხებელი უფლებამოსილია დააკისროს მსესხებელს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს საკომისიო თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისათვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0,5%-ისა.

5.2. კრედიტის მთლიანი მოცულობის ვადამდელი (წინსწრებით) დაფარვის შემთხვევაში, თუ აღნიშნული დაფარვა ხორციელდება შპს კაპიტალექსპრესის მიერ მსესხებლის რეფინანსირების გამო, მსესხებელს არ დაეკისრება პირგასამტეხლო სესხის წინასწარ დაფარვისთვის. ყველა სხვა შემთხვევაში, 5.1. პუნქტით გათვალისწინებული წესით სესხის მთლიანი მოცულობის ვადამდელი დაფარვის დროს მსესხებელი, იხდის გადახდის თარიღისათვის დარიცხულ პროცენტსა და პირგასამტეხლოს.

5.3. კრედიტის დაუბრუნებლობის შემთხვევაში მსესხებლის მიმართ გატარდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები, მათ შორის მსესხებლის მიმდინარე ანგარისებს, საკუთრებაში არსებულ ქონებას შესაძლოა დაედოს ყადაღა და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს ქონების რეალიზაცია და მსესხებელ-მოვალეს ასევე დაეკისროს მოცემული ღონისძიებების გატარების გამო დამატებითი ხარჯები. აგრეთვე აღნიშნული იძულებითი რონისძიებები შესაძლოა გატარდეს მსესხებლის თავდებების მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.4. მსესხებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ორგანიზააციის (გამსესხებლის) პრეტენზიების სამსახურში: ა) ზეპირი ფორმით - ორგანიზაციის ნებისმიერ სერვის ცენტრში წარდგენით ან ცხელი ხაზის (+99532 2 430432 საშუალებით; ბ) წეილობითი ფორმით, ელექტორნული ფორმით, - ორგანიზაციის ელექტრონულ მისამართზე: contact@capitalexpress.ge წერილის გაგზავნით. პრეტენზია უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მისი შინაარსი გასაგები,

წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზაციას უფლება აქვს მსესხებელს მოსთხოვოს პრეტენზიის დაზუსტება და მისი წერილობით წარმოდგენა. პრეტენზიის განხილვის შესახებ დეტალური პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ცხელ ხაზზე (+99532 2 430432. წერილობით პრეტენზიაზე ორგანიზაცია მსესხებელს გაუგზავნის პასუხს პრეტენზიის აღრიცხვიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

5.5. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტში დასახელებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედება და საქართველოს კანონმდებლობით ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ყველასხვა პირობა განსაზღვრულია გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით.

5.6. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი ადასტურებს, რომ:

5.6.1. იგი გაცნობილია გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებითა და წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შინაარს, ეთანხმება მათ და მიიღო ეს პირობები.

5.6.2. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებითა და ამ საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შინაარსი არ არის ბუნდოვანი ან/და იმდენად უჩვეულო, რომ არ შეეძლოს მათი გათვალისწინება.

5.6.3. თანახმაა, საჭიროების შემთხვევაში მისი მონაცემები შპს კაპიტალექსპრესის მიერ გადამოწმდეს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში.

5.6.4. ამ ხელშეკრულებას დებს თავისი საჭიროებისათვის, არ მოქმედებს სხვა (მესამე) პირის დავალებით და არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან („შელ ბანკი“)

5.8. მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულების 5.7. პუნქტით განსაზღვრული რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში,შპს კაპიტალექსპრესი გააჩნია თავისი მოთხოვნების დაუყოვნებლივ დაკმაყოფილების უფლება.

5.9. კრედიტის (სესხის) გაცემის დროს შპს კაპიტალექსპრესი უფლებამოსილია კრედიტის (სესხის) თანხიდან „მსესხებელს“ დაუკავოს კრედიტის (სესხის) გაცემის (მომსახურების) საკომისიო ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.15 პუნქით განსაზღვრული ოდენობით.

5.10. საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტის (ხელშეკრულების ვადის გასვლა, კლიენტის მიერ სესხის სრულად დაფარვა და ა.შ.) შემთხვევაში, შეწყვეტიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში კლიენტის მიერ სესხის ანგარიშზე არსებული ნაშთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაბრუნების თაობაზე შპს კაპიტალექსპრესის მიმართ მოთხოვნის წარუდგენლობის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ კლიენტი უარს აცხადებს აღნიშნული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხის დაბრუნებაზე და შპს კაპიტალექსპრესი უფლებამოსილია თანხა მიიღოს შემოსავალში (საკუთრებაში).

5.11. შპს კაპიტალექსპრესის სახსრებით არსებული კრედიტის რეფინანსირების (დამატებითი სესხის გაცემა) შემთხვევაში, შპს კაპიტალექსპრესი უფლებამოსილია სესხისდ გაცემის მომენტისათვის უზრუნველყოს კლიენტის მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა და მხოლოდ დარჩენილი თანხა (სხვაობა არსებილ სესხსა და დამატებით სესხს შორის), ასეთის არსებობის შემთხვევაში გასცეს „მსესხებელზე“.

5.12. **იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტთ შპს კაპიტალექსპრესში ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:**

მისთვის ცნობილია, რომ შპს კაპიტალექსპრესი არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი, მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

5.13. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეტა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე.

5.14. ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება შპს კაპიტალექსპრესი, ხოლო ერთი გადაეცემა მსესხებელს.

6. ინფორმაცია მხარეთა შესახებ

გამსესხებელი:	**მსესხებელი:**
შპს კაპიტალექსპრესი	დასახელება
ს/კ: 404434028	საიდენტიფიკაციო მონაცემი
იურ.მისამართი: ქ.თბილის, თამარ მეფის გამზ.7	იურიდიული მისამართი
ფაქტ. მისამართი: ქ.თბილისი, ა.გახოკიძის ქ N6	
ტელ.: +995 32 2 430432	
ელ.ფოსტა: contact@capitalexpress.ge	
სს თიბისი ბანკი TBCBGE22	
ა/ა GE30TB7780636080100003	
---	---
---	---
გამსესხებელი	მსესხებელი